ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ს-19/01173471178-17

"13." 03. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, (ნაკვეთი 19/313) , ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი დავით აღმაშენებელის ჭუჩა №2ა-ში (საკ. კოდი №01.72.14.019.370) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი) – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2791413 23.08.16წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, (ნაკვეთი 19/313) , ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი დავით აღმაშენებელის ჭუჩა №2ა-ში (საკ. კოდი №01.72.14.019.370) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის დახრა. ფასადებზე შეცვლილია კარ-ვიტრაჟების და ფანჯრის ნახატები. კარ-ვიტრაჟები ნაწილობრივ შესამინია. ფასადებზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები, წყალსაწრეტი და გამწოვი მილები. ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამათბობლისთვის განკუთვნილი კარადები და სატელიტური ანტენები. ფასადებზე შეცვლილია მოაჯირების ნახატი. აივნებზე გაუქმებულია ლითონის ჟალუზები. აივნებზე დამატებით მოწყობილია გამყოფი კაპიტალური კედლები. ცოკოლის ნაწილი მოპირკეთებულია ქვით. ფასადებზე ნაწილობრივ გაზრდილია კაპიტალური მოაჯირებზე მოწყობილი ლითონის მოაჯირების სიმაღლე. ფასადებზე გაუქმებულია კომპოზიტური მასალით მოპირკეთება და მის ნაცვლად ფასადები შეღებილია.

"ა-დ" ფასადი: ბ-გ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები. ±0.00 ნიშნულზე ბაქანზე დამატებით მოწყობილია მოაჯირი.

"4¹-8" ფასადი: -3.00 ნიშნულზე 4¹-5¹ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი და შემცირებულია კარის გაბარიტები. აღნიშნულ მონაკვეთში კარის მარცხნივ ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. კიბესთან შეცვლილია კაპიტალური კედლის ფორმა და გაბარიტი. 4¹ ღერძის მარცხნივ დამატებით მოწყობილია ჭიშკარი. 4¹-5¹ მონაკვეთში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა და ფორმა. 5¹ ღერძზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის კედელი. 5¹ ღერძის მარცხნივ შეცვლილია კედლის ფორმა. 5¹-6¹ მონაკვეთში ავტოფარეხში შესავლელ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი 7¹-8 მონაკვეთისკენ. 8 ღერძის მარცხნივ შეცვლილია კედლის ფორმა. 7¹ ღერძზე ავტოფარეხში შესასვლელთან დამატებით მოწყობილია მცირე ზომის კედელი. 4¹ ღერძის მარცხნივ ±0.00 ნიშნულზე გაუქმებულია აივანი. 4¹-5¹ მონაკვეთში +4.20 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ფანჯარა. 8 ღერძზე ±0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ღიობი. +27.30 ნიშნულზე 5¹ ღერძზე აივანზე დამატებით მოწყობილია კოლონა. +33.40 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ვიტრაჟები.

"7-2" ფასადი: 7 ღერძის მარცხნივ ფილის ქვეშ ფიქსირდება რიგელები. ±0.00 ნიშნულზე ვიტრაჟში შეცვლილია კარის რაოდენობა და ვიტრაჟში დამატებით მოყობილია შუაკედლისები. ვიტრაჟების წინ დამატებით მოწობილია კიბეები და მოაჯირი. +7.50 ნიშნულზე 7 ღერძის მარცხნივ აივანზე შეცვლილია შუაკედლისის ფორმა. 7 ღერძის მარცხნივ +4.20 ნიშნულიდან +24.00 ნიშნულის ჩათვლით დამატებით მოწყობილია ფანჯრები. 5 ღერძზე +4.20 ნიშნულიდან 20.70 ნიშნულის ჩათვლით შეცვლილია შუშის მოაჯირების ნახატი.

"დ¹-ბ" ფასადი: დ¹ და ბ¹ ღერძების გარეთ +4.20 ნიშნულზე ფიქსირდება რიგელები. დ¹-ბ¹ მონაკვეთში გაუქმებულია ფრამუგები. ბ¹ ღერძის მარჯვნივ +0.80 ნიშნულზე გაზრდილია ღიობის გაბარიტები. +4.20 ნიშნულიდან +17.40 ნიშნულის ჩათვლით დ¹-ბ¹¹ მონაკვეთში

გაუქმებულია ვიტრაჟები. +30.60 ნიშნულზე ბ¹ ღერძის გარეთ გაზრდილია აივნის გაბარიტები. აღნიშნულ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი. +20.70 ნიშნულზე ტერასაზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია.

„გეგმების მიხედვით“: გაზრდილია კოლონების და რიგელების რაოდენობა. 5-4 მონაკვეთში ლიფტის შახტასთან გაუქმებულია ტამბური. ბ-გ მონაკვეთში 5¹-5¹ ღერძზე ჭიშკარს მონაცვლებული აქვს ადგილი 4¹-5¹ ბ-ბ ღერძისკენ. 8-8 დ-დ ღერძზე კოლონა შეტრიალებულია. ბ-ა 4¹-5¹ მონაკვეთში შეცვლილია არსებული სათავსოს კედლების ფორმა რის გამოც გაზრდილია პანდუსის გაბარიტები. -3.00 ნიშნულზე გ-ბ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სადარბაზოში შესასვლელი კარი. ავტოფარეხში შესასვლელ ჭიშკარს ბ-ბ ღერძიდან მონაცვლებული აქვს ადგილი ა-ა ღერძისკენ. 3-4 მონაკვეთში შემცირებულია ფრამუგის სიგრძე. 5¹-5¹ ღერძზე შენობის შიგნით დამატებით მოწყობილია კიბე. გ-გ ღერძზე სადარბაზოში მონოლითურ კედელში დამატებით მოწყობილია ღიობები. 2-2 ღერძის გარეთ გ¹¹-გ¹¹ ღერძზე დამატებით მოწყობილია კარი. 8-7 მონაკვეთში +4.20 ნიშნულიდან +20.70 ნიშნულამდე აივნებზე მოეწყო კედლები რის გამოც გაიზარდა შიდა ფართი. +7.50 ნიშნულზე ბ-დ მონაკვეთში შეცვლილია აივნის ფორმა. +10.80 ნიშნულზე დ¹-დ¹ ღერძის გარეთ 4-3 მონაკვეთთან გაუქმებულია კარი. +24.00 და 27.30 ნიშნულებზე გ¹-ბ¹ მონაკვეთში 3-3 ღერძზე მდებარე კედელს და ფანჯარას მონაცვლებული აქვს ადგილი 3-3 ღერძის გარეთ, რის გამოც გაზრდილია შიდა ფართი. +27.30 ნიშნულზე ა-დ მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი. +31.10 ნიშნულზე ლიფტის სამანქანოსთან დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე. +30.60 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია სადარბაზოს სათავსოს კედლის ფორმები. გაზრდილია შახტების რაოდენობა.

პანდუსები, ბეტონის ფილები და კედლები ნაწილობრივ ცდება საკადასტრო საზღვარს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს “ნიუ დიღომი კორპ NEW DIGOMI Corp”-ს, ქ. თბილისში, ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, (ნაკვეთი 19/313) , ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი დავით აღმაშენებელის ქუჩა №2ა-ში (საკ. კოდი №01.72.14.019.370) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი (კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი) - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01173471178-17 13.12.2017წ. განცხადება.
№წ-19/01173471178-17 14.12.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გ. გეჯაძე**